საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 1928 2019 წლის 30 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტისთვის საავტორო უფლებით დაცული მასალის თარგმნისა და გამოცემის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, შემდგომში სამოქმედოდ შემოღების მიზნით, გასაფორმებელი ხელშეკრულების მოწონების შესახებ

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტისთვის საავტორო უფლებით დაცული მასალის თარგმნისა და გამოცემის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, შემდგომში სამოქმედოდ შემოღების მიზნით, გასაფორმებელი ხელშეკრულება პატენტსა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მიმართ არ გავრცელდეს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებითა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**